ტექსტილის დიზაინერის
ნინო ყვავილაშვილის სასწავლო პრაქტიკული კურსი

ბატიკის ტექნიკის შესწავლა

ივნისი-ივლისი, 2022, ქ. თბილისი

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი ბატიკის ტექნიკის შესწავლის მსურველებს - მხატვარ-დიზაინერებს, ტექსტილის დიზაინის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს იწვევს ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამაზე - „ბატიკის ტექნიკის შესწავლა“. კურსს გაუძღვება ტექსტილის დიზაინერი ნინო ყვავილაშვილი. პროგრამა განხორციელდება ქ. თბილისში, ნინო ყვავილაშვილის სახელოსნოში. (მის: ბეთლემის ქ. #3, გალერეა 27).

სასწავლო კურსი ხორციელდება ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის პროექტის „პროფესიული განვითარების პროგრამა მხატვრული რეწვის წარმომადგენლებისთვის“ (Upskilling Crafts Workforce) ფარგლებში, USAID/ ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით.

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- თეორია - ბატიკის ტექნიკის წარმომავლობა;
- აბრეშუმი, როგორც მასალა, მისი მრავალფეროვნება და სპეციფიკა; / საღებავების სპეციფიკაცია;
- მასალის შერჩევა, სავარჯიშო ნიმუშის გაკეთება;
- ესკიზის შექმნა; ჩარჩოზე აბრეშუმის გადაჭიმვა, ნახატის გადატანა;
- ცივი ბატიკის საფუძვლების დაუფლება - ცივი ბატიკის ტექნიკით ნამუშევრის შექმნა; ე.წ. შეორთქლება და მისი სპეციფიკა;
- ცხელი ბატიკის საფუძვლები;
- პარაფინის მოხმარების შესწავლა;
- ცხელი ბატიკის ტექნიკით ნამუშევრის შექმნა;
- დეკორირება აკრილის საღებავით.

ვის შეუძლია მონაწილეობა?

პროგრამაში მონაწილეობა შეგიძლიათ თუ თქვენ ხართ მხატვარი, დიზაინერი, ტექსტილის დიზაინის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი და ბატიკის ტექნიკის შესწავლით დაინტერესებული პირი.

მონაწილეობა უფასოა და მოიცავს 16 ინდივიდუალურ ვორქშოფს ივნისი-ივლისის პერიოდში. **სასწავლო კურსზე შეირჩევა 1 მონაწილე.**

პროგრამით დაინტერესებულმა პირებმა **2022 წლის 18 ივნისის ჩათვლით** უნდა შეავსოთ განაცხადის ფორმა ბმულზე: https://bit.ly/3Nrdphf

საკონტაქტო ინფორმაცია:
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
www.gaccgeorgia.org
მის: ნიკო ნიკოლაძის ქ. #7, თბილისი- 0108, საქართველო
ტელ: (+995 32) 293 13 35;
(მობ.:) 593 397 153; 555 455 843
ელ. ფოსტა: info @gaccgeorgia.org